პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 36 (1206) | ხამშაბათი, 25 მარტი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.



მსოფლიოში ცნობილია საბჭოთა გოლიათის არკადი ვორობიოვის სახელი. მას მრავალი სპორტული ბრძოლა გადაუხდია ფიცარნაგზე ხუთივე კონტინენტის ძალოსნებთან და სულ ხშირად გამარჯვებული გამოსულა.

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მან ქვემძიმე წონაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წელს თეირანში გამართულ მსოფლიო პირველობაზე მან რეკორდი შესამჩნევად გაზარდა.

არკადი ვორობიოვი ყოველთვის კარგ სპორტულ ფორმაშია. ამაში მას ეხმარება სისტემატური, სრულწლიური წვრთნა. იგი განსაზღვრულ დროს ძალოსნობის დარბაზში ატარებს, თვითონაც ვარჯიშობს და სხვებსაც ავარჯიშებს.

მსოფლიო რეკორდსმენმა ამას წინათ დაამთავრა სვერდლოვსკის სამედიცინო ინსტიტუტი და ასპირანტურაში განაგრძობს სწავლას.

* * *

სურათზე: ზევით — ა. ვორობიოვი (მარცხნივ) ლაბორატორიაში პროფესორ ნ. ვერეშჩაგინთან მუშაობის დროს. ქვევით — ა. ვორობიოვი ვარჯიშობს.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა

დიდი მატჩი

ანგარიშია 5:2

მსოფლიო ჩემპიონი და მისი მეტოქე ყოველ პარტიაში ნამდვილ გროსმაისტერულ თამაშს ავლენენ. მაგრამ ჯერჯერობით სასწორი ბოტვინიკის მხარესაა გადახრილი. ეს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, იმითაა გამოწვეული, რომ ბოტვინიკმა დასაწყისშივე ისეთი სადებიუტო სისტემები გამოიყენა, რომლებიც სმისლოვისათვის მოულოდნელი იყო, ამან კი მსოფლიო ჩემპიონის თამაშზე უარყოფითად იმოქმედა.

ბრძოლა მხოლოდ მწვავდება, ამიტომ ყოველი შეხვედრა ისევე საინტერესოა, როგორც პირველი. მიუხედავად იმისა, რომ VII პარტია, რომელიც 22 მარტს შედგა, 16 სვლაში ყაიმით დამთავრდა, იგი არანაკლებ საყურადღებოა.

ვ. სმისლოვი — მ. ბოტვინიკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 d6 6. კe2 g6 (ამ სვლით იწყება ე. წ. დრაკონის სისტემა). 7. კe3 კg7 8. h4 0—0 9. h5 d5 10. hg

ყველაფერი ეს მოხდა V პარტიაში ბოტვინიკმა იგი კვლავ გაიმეორა და ამ მდგომარეობაში უფრო ძლიერი გაგრძელება მონახა. ადრე მან ეტლის წინამდებარე პაიკით აიყვანა. ახლა კი 10. ... fg. რაც წარმოშობს მწვავე თამაშს 11. ed მ:d5 12. მ:d5 (საინტერესო იყო 12. კc4 e6 13. მ:d5 ed 14. კb3 რთული თამაშით) 12. ... ლ:d5 13. კf3 ლc4 14. c3 (ძალიე მწვავდებოდა ბრძოლა 14. კ:c6 bc 15. c3 ეb8 16 მb3 შემდეგ) 14. ... მ:d4 15. cd კe6 (შავებისათვის არ იყო კარგი 15. ... ეd8, რადგან 16. ლb3 ლ:b3 17. ab კ:d4 18. ეd1 e5 19 ეh4 შემდეგ აღარ შეიძლება 19. ... კb6 20. კd5+ მფg7 21. კh6+ გამო) 16. ლb3



აქ ბოტვინიკმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. სმისლოვმა მიიღო იგი, რადგან პოზიცია თანაბარია

ახლა მატჩს კვლავ ბოტვინიკი ლიდერობს. ანგარიშია 5:2 მის სასარგებლოდ.

დღეს, 25 მარტს შედგება VIII პარტია.

აქედანვე, დაუყოვნებლივ!

თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ 1959 წელს, მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე აღიმართებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ალამი, მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების მოახლოვება უფრო საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო დადგენილება სპარტაკიადის ჩატარების შესახებ.

მაშ ასე. ჩვენს წინაა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მეორე უდიდესი კომპლექსური შეჯიბრება — ხალხთა სპარტაკიადა. საბჭოთა კავშირში ასეთი დიდი ღონისძიება თვითმიზანი როდია. იგი ემსახურება ფართო მასებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობას, სპორტულ ნაგებობათა ქსელის შემდგომ გაფართოებას. გავიხსენოთ თუ როგორი აღმავლობით ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის წინა ეტაპები (რესპუბლიკური, საზონათშორისო, რაიონული, შიდასაკოლექტივო) ჩვენს რესპუბლიკაში. ეს იყო კუნთმაგარი, ჯანღონით სავსე, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის დათვალიერება. დიდი, მეტად დიდი ბიძგი მისცა ამ ღონისძიებამ საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას. შემდეგ საქართველოს სპორტული დელეგაცია მოსკოვს ეწვია და იქ სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ვაჟკაცურ ბრძოლაში საერთო მე-5 საპატიო ადგილი დაიკავა.

1959 წლის ხალხთა სპარტაკიადა უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს მონაწილეებს. გაზრდილია აგრეთვე მისი პროგრამაც. ახლა მოტოციკლისტები, მაგიდის ჩოგბურთელები, მოჭადრაკეები, აკადემიური ნიჩბოსნებიც ჩაებმებიან შეჯიბრებებში. სპარტაკიადაზე სულ გათამაშდება სპორტის ოცდასამი სახეობა.

როგორც ვხედავთ, ამოცანა მეტად სერიოზულია. დრო, რასაკვირველია, საკმარისია, მაგრამ ეს ჩვენ უფლებას არ გვაძლევს საქმე გადავდოთ და როდესაც სპარტაკიადა მოახლოვდება, მაშინ დავფაცურდეთ. არა. მზადება უნდა გავშალოთ აქედანვე, დაუყოვნებლივ.

რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს პირველმა სპარტაკიადამ მდიდარი გამოცდილება მოგვცა. საჭიროა ყველაფერი ავწონ-დავწონოთ და გამოვიყენოთ. ამასთან აუცილებლად გავითვალისწინოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც მაშინ გვახასიათებდა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სპარტაკიადა მარტო ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ღონისძიება როდია, მისი ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება საერთო საქმეა და მასში თანაბრად უნდა მიიღოს მონაწილეობა კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

სპარტაკიადის ეტაპების (შიდასაკოლექტივო, რაიონული, საზონათშორისო და რესპუბლიკური) მაღალ დონეზე ჩატარება, რასაკვირველია, მთავარია და მეტად სასარგებლოც, მაგრამ მთავარზე უმთავრესი საკავშირო სპარტაკიადაა, სადაც თვალნათლივ გამოჩნდება რესპუბლიკის სპორტის შესაძლებლობა, გამოჩნდება ჩატარებული მუშაობის შედეგები და მომავალიც.

ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად რესპუბლიკური კომიტეტი უკვე ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სპორტის იმ სახეობებზე, რომლებშიც ჩამოვრჩებით და რომლებიც ახლა იდგამს ფეხს ჩვენს რესპუბლიკაში — მაგალითად, აკადემიურ ნიჩბოსნობაში. სპორტის ამ სახეობაში სექციები ჩამოყალიბებულია თბილისში, ფოთში, მცხეთაში და მეცადინეობა რეგულარულად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა ტანვარჯიშის, კრივისა და სხვა სახეობათა ამოსაწევად.

დიდი მუშაობა წარმოებს გუნდებში ახალი ძალების შესაყვანად. როგორც ვიცით, პირველ სპარტაკიადასთან შედარებით ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე ჩვენი სპორტული დელეგაციის შემადგენლობა საკმაოდ გადახალისებული იყო. ახლა მოსალოდნელია, რომ დელეგაციაში მონაწილეობის უფლებას კიდევ უფრო ბევრი ახალგაზრდა მოიპოვებს. ეს კი მწვრთნელებსა და უფროსი თაობის სპორტსმენებს ავალებს მეტი გულისხმიერებით, სიყვარულით მოეკიდონ მათთან მუშაობას, ჩაუნერგონ მათ კოლექტივის სიყვარული. ყველა მწვრთნელი და ფიზკულტურული მუშაკი გამსჭვალული უნდა იყოს ერთი მიზნით — ეძებოს, გამოავლინოს, აღზარდოს ნიჭიერი ახალგაზრდა, ისეთი, რომელიც მათ ამაგს დააფასებს და რესპუბლიკასაც ასახელებს. რა შედეგით გამოვალთ ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი აღმავლობით ჩავატარებთ მიმდინარე სპორტულ სეზონს და იმაზეც, თუ რას მოვიმკით წლის ბოლოს.

მაშ ვემზადოთ, დავრაზმოთ მთელი ძალები, რათა ის საპატიო შედეგი, რომელიც პირველ სპარტაკიადაზე მოვიპოვეთ, კიდევ უფრო გავზარდოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სპორტის აღმავლობაში.

შეხვედრა „სოვეტსკი სპორტის" რედაქციაში

საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წინ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გამართა თავისი მორიგი „ხუთშაბათი".

ამ „ხუთშაბათზე" რედაქციაში მიწვეული იყვნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. კუპრავა, სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კობახიძე, აგრეთვე სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. სტაროსტინი, კომპოზიტორი ნ. ბოგოსლოვსკი და მწერალი ა. ბორშჩაგოვსკი.

ქართული კულტურის მოღვაწეთა დეკადის შესახებ დაწვრილებით მოუთხრო ვ. კუპრავამ. ახალ საფეხბურთო სეზონზე ილაპარაკა ა. სტაროსტინმა, მწერალმა ა. ბორშჩაგოვსკიმ—სპორტსმენებზე თავის ნაწარმოებთა შესახებ. ნ. ბოგოსლოვსკიმ შეასრულა თავისი რამდენიმე სახუმარო მუსიკალური ნაწარმოები.



ფოთი

გასულ კვირას, ქალაქის სპორტულ ბაზებზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

პირველად სტარტი მიეცა მასობრივ მძლეოსნურ კროსს, რომლის დისტანცია 5 კილომეტრს უდრიდა. 100 მონაწილიდან ფინიშთან პირველი მივიდა საქართველოს ნაკრების წევრი ბ. რუხაია. ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში 25 კილომეტრზე, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ წარმოება-დაწესებულებებისა და სკოლების ფიზკულტურელები, პირველი იყო რ. სისვაძე. მდინარე რიონზე გაიმართა ქალაქის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ნიჩბოსანთა შეჯიბრება. აქ უძლიერესები იყვნენ ნავსადგურისა და განათლების განყოფილების სპორტსმენები.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა შეხვედრამ ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელის მოსკოვის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა და ადგილობრივი გუნდის „კოლხიდას" შორის. ფოთელმა თავდამსხმელებმა ქ. წურქავამ და ი. გვაზავამ პირველ ნახევარში მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს თითო ბურთი. შეხვედრა მოიგეს კოლხიდელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

გაიმართა აგრეთვე შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, თავისუფალ ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში.

ა. ლომაია

* * *

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ს. ლვამიჩავასი.

მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

აფხაზეთი საუკეთესო სამკურნალო კურორტებითაა სახელგანთქმული. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოველ წელს აქ 60 ათასზე მეტი მშრომელი ისვენებს.

მათი ჯანმრთელობისათვის, სხვა საშუალებასთან ერთად, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სამკურნალო ფიზკულტურა, რომლის ფართო ქსელი ძრავალ კურორტსა და სანატორიუმს მოიცავს. მის ბაზას სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები წარმოადგენს, რომლებშიც 30-ზე მეტი სპეციალისტი, ექიმი, მეთოდისტი შრომობს. მათ შორის ალსანიშნავია სამკურნალო ფიზკულტურის ენთუზიასტები — ექიმები გ. ჩაფრავა, შ. გვაზავა, ე. გოგლიძე, მეთოდისტ-ინსტრუქტორები ვ. კრიკორიანი, ვ. ქური, გ. კანტაკოვა და სხვანი.

სამკურნალო ფიზკულტურა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დამსვენებელთა შორის გაგრის სანატორიუმებში.

* * *

სპორტის ენთუზიასტები

ორმა მეგობარმა — ბორის ბარაბანოვმა და ნიკოლოზ შუენკომ გასულ წელს ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა და ერთადვე გადაწყვიტეს სამუშაოდ წასულიყვნენ წარმოებაში.

სოხუმი

მათი გეგმები სისრულეში იქნა მოყვანილი და ახლა ორივე სამშენებლო ტრესტის მოწინავე მუშებად ითვლებიან.

ამას წინათ მეგობრებმა შეიტყვეს, რომ სამშენებლო ტრესტი აწარმოებს სოხუმის „დინამოს" საწყლოსნო სადგურის რეკონსტრუქციას და ამ სამუშაოზე მიმაგრება მოითხოვეს. ამ თხოვნას საფუძვლად ისიც ჰქონდა, რომ ბორისიც და ნიკოლოზიც სპორტის მოყვარულნი და თანრიგოსანი მოჭიდავეები არიან. მათ ენთუზიაზმით დაიწყეს მუშაობა და ყოველდღიურ ნორმებს 240-250 პროცენტით ასრულებენ, რათა განახლებული სპორტული ბაზა ვადაზე ადრე ჩადგას მწყობრში.

რეკონსტრუირებული საწყლოსნო სადგური აღჭურვილი იქნება კოშკურებით, სახტომ-ტრამპლინებით, რვა „ბილიკიანი" საცურაო აუზით, 700 ადგილიანი ტრიბუნებით.

* * *

სურათზე: ბ. ბარაბანოვი (მარჯვნივ) და ნ. შუენკო სპორტბაზის რეკომსტრუქციის სამუშაოზე.

სოხუმის სპორტბაზაზე

სოხუმის კომკავშირისა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტების ინიციატივით ჩატარდა პირველობები კალათბურთსა და ველოსპორტში. კალათბურთელთა ასპარეზობაში, რომელშიც სოხუმის საშუალო სკოლათა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, გამარჯვებულნი გამოვიდნენ მეორე საშუალო სკოლის სპორტსმენი გოგონები და მეოთხე საშუალო სკოლის ვაჟები. 25-კილომეტრიან ველოტრასაზე გამოვიდნენ ქალაქის სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები. გაიმარჯვა ნ. გიორგიადიმ („კოლმეურნე")

* * *

18 მარტს სოხუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მასპინძლებისა და სტალინოს „შახტიორის" ოსტატებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 3:0.

ჯ. ანთია



მექალალდეთა შორის

ინგურის ცელულოზისა და ქალალდის კომბინატის მოჭადრაკეთა 1958 წლის პირველობა, რომელშიც 15 უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა, ერთ თვეს გაგრძელდა.

ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა მეორეთანრიგოსანმა გ. ლატარიამ, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა. II-III ადგილები გაიყვეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ქ. ალმასიამ და გ. შელიამ.

ქ. ნარმანია

დებულება დაზუსტებას მოითხოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ფალავანდიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი.

მიმდინარე წლის სპორტული სეზონი სავსეა მრავალრიცხოვანი ღონისძიებებით, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ათასობით სპორტსმენი — ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის შვილები. სპორტი ახალგაზრდობის ღვიძლი საქმეა, ამიტომაც გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც სპორტის მოყვარულებში იწვევს მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელიც აგვისტოში, თბილისში ჩატარდება და სტუდენტთა სპორტული თამაშები, რომლის ფინალი მოეწყობა კიევში.

სტუდენტთა სპარტაკიადები ადრეც ჩატარებულა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ 1958 წლის სტუდენტთა თამაშები როგორც თავის მასშტაბით, ისე ჩატარების თავისებურებებით ბევრად განსხვავდება წინა ღონისძიებებისაგან.

როგორც ცნობილია, წინათ ეწყობოდა საუწყებო უმაღლეს სასწავლებელთა სპარტაკიადები, ხოლო შემდეგ საუწყებო სპარტაკიადაზე გამარჯვებული გუნდების საფინალო შეჯიბრებები. ამრიგად, გამონაკლისს არ წარმოადგენდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ფინალში მონაწილე ამა თუ იმ საუწყებო ინსტიტუტების სპარტაკიადაზე გამარჯვებული გუნდი ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე სხვა უწყების სპარტაკიადაზე მეორე-მესამე ადგილზე გამოსული კოლექტივები. ამას გარდა, საუწყებო სპარტაკიადებზე უმაღლესი სასწავლებლის გუნდები არ მონაწილეობდნენ ყველა სახეობებში. საორგანიზაციო კომიტეტი ამა თუ იმ ინსტიტუტს ან უნივერსიტეტს თვითონ დაუდგენდა (ცხადია იმის მიხედვით, თუ რამდენად ცნობილი იყო გუნდების სიძლიერე) თუ რომელ სახეობაში უნდა წარედგინა მას კოლექტივი საუწყებო სპარტაკიადაზე.

ცხადია, ასეთი წესით საფინალო შეჯიბრების მონაწილეთა დაკომპლექტება სრულიად არ უწყობდა ხელს უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ყველა სახეობის განვითარებას. ასე მაგალითად, ცნობილი იყო წინასწარ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სტუდენტთა სპარტაკიადაზე წარსდგებოდა, თითქმის როგორც წესი, კალათბურთით, ფარიკაობით და ტანვარჯიშით. სახელმწიფო უნივერსიტეტი — ტანვარჯიშით, ფარიკაობით და სხვ. ადგილებზე, რადგანაც ერთსა და იმავე უწყების უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი ძალზე მცირე იყო, არ ტარდებოდა შერჩევითი შეჯიბრებები და ამიტომ აღნიშნული სპარტაკიადები მხოლოდ რჩეულთა ხვედრად ხდებოდა, რაც სპორტის განვითარებისა და მასში ახალი მასების ჩაბმის სტიმულს აფერხებდა.

1958 წლის სტუდენტთა სპორტული თამაშები სხვაგვარად, უსათუოდ გამართლებული წესით ტარდება. თამაშების ფინალს წინ უსწრებს ადგილობრივი, საქალაქო, რესპუბლიკური და შემდეგ ზონალური თამაშები. შეიძლება ითქვას, რომ წამყვან ზონას წარმოადგენს ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების ზონა, რომელიც ტარდება თბილისში, ივნისის ბოლოს.

დებულების თანახმად რესპუბლიკებიდან ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ის გუნდები, რომლებიც სახეობათა მიხედვით გაიმარჯვებენ სტუდენტთა რესპუბლიკურ თამაშებში. ამრიგად, უკვე პირველ ეტაპზე რამდენადმე შემცირებულია სუსტი გუნდის ფინალში გასვლის შესაძლებლობა. ამასთან ყველა უმაღლეს სასწავლებელს საშუალება ეძლევა ერთ-ერთ რომელიმე სახეობაში მაინც მიაღწიოს წარმატებას, ცხადია ზონალური თამაშები კიდევ უფრო გაცხრილავს გუნდებს მათი სისუსტის მიხედვით და საფინალო თამაშებზე წარსდგება ნამდვილად უძლიერესი კოლექტივი.

თამაშების მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ პირველ ეტაპზე (საქალაქო, რესპუბლიკურ თამაშებზე) ყველა უმაღლეს სასწავლებელთან ერთად მონაწილეობენ პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებული ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდები.

ამასთანავე ძირითად პირობას წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელთა კოლექტივები დაიკავებენ უკეთეს ადგილს (ალბათ ნაგულისხმევია პირველი ადგილები), დაიშვებიან ზონალურ შეჯიბრებაში, ხოლო თუ აქაც აღმოჩნდებიან უკეთეს ადგილებზე — ფინალში, სადაც მათთვის შეჯიბრება ცალკე ჩატარდება.

დებულების ამ ნაწილში და ამასთანავე საქართველოდან ზონალურ შეჯიბრებაზე თითო გუნდის გაყვანის საკითხში ჩვენ რამდენადმე სხვა პოზიციას ვიკავებთ.

ჩვენის აზრით ასეთი პირობის დადება სწორი არ არის და ალბათ გამოწვეულია იმით, რომ ფინალური თამაშები ფიზკულტურის უმაღლეს სასწავლებლებისათვის დამოუკიდებლად ტარდება. თუ ეს ასეა, მაშინ სწორი იქნებოდა ზონალურ თამაშებში ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები დაშვებული ყოფილიყვნენ განურჩევლად მათი შედეგებისა პირველ ეტაპზე.

თუ კი ზონალურ, შემდგომ კი ფინალურ თამაშებზე ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ფაკულტეტების გუნდები წარსდგებიან მხოლოდ წინა ეტაპებზე გამარჯვების შემთხვევაში, განა არ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ფინალში ამ ტიპის სასწავლებლების მხოლოდ ერთი ან ორი გუნდი გავიდეს? ცხადია შეიძლება, ამიტომაც ასეთი პირობების წინასწარი განსაზღვრა, ჩვენი აზრით არ იქნება სწორი.

ჩვენს მოსაზრებას შემდგომი გარემოებაც ამართლებს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმ (ჩვენი გაგებით) მცდარ აზრს თითქოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი აუცილებლად უნდა იმარჯვებდეს ყველა შეჯიბრებაში. ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში, ძლიერი, ახალგაზრდა სპორტსმენები საკმაო რაოდენობით შედიან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს უფრო ხანგრძლივი სპორტული ტრადიციები გააჩნიათ, ვიდრე ფიზკულტურის ინსტიტუტს, რომელმაც მხოლოდ უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში მიაღწია მუშაობის შედარებით ნორმალურ პირობებს, ცხადი იქნება, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის უპირატესობა მინიმუმამდე დადის. ვფიქრობ, რომ დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც.

არც ის იქნება სწორი, რომ ზონალურ შეჯიბრებაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან სპორტის ზოგიერთ სახეობაში თითო გუნდია დაშვებული. ცნობილია, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდები, ტანმოვარჯიშეები, ჩოგბურთელები, უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეები და მოფარიკავეები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი სტუდენტთა სპარტაკიადებზე. განა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები აბაშიძე, ქორიძე, სხირტლაძე, კანდელაკი, ცალქალამანიძე, მჭედლიშვილი და სხვები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ სწავლობენ? ნუთუ მხოლოდ ერთი გუნდით უნდა წარსდგეს რესპუბლიკა ზონალურ შეჯიბრებაზე? ვფიქრობთ, რომ არა და ეს საკითხი, ვიდრე დროა, უნდა დაისვას ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა ზონალურ შეჯიბრებაში ძალთა შეფარდებისა და ადრე მოპოვებული შედეგების მიხედვით ჯერ ზონაში, ხოლო შემდეგ ფინალურ თამაშებზე დაშვებულ იქნეს 2 ან 3 გუნდი.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოხვდეს რჩეულთა შორის.

პირველი ქულები ჩაიწერა გათამაშების ცხრილში

ასეთი ანგარიში მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შორის ჯერ არასოდეს ყოფილა

ფეხბურთი

ცუდი დასაწყისი

23 მარტს, სსრ კავშირის XX საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის დღეს, თამაშობდა „ა“ კლასის ათი გუნდი. პირველი ტურის ცენტრალურ მატჩს, უდაოდ, წარმოადგენდა მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ თანაკლუბელთა შეხვედრა. მაგრამ ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოწვეული იყო ამ მატჩის მიმართ, ფუჭი გამოდგა — მოსკოველები თავიანთ მოწინააღმდეგეებზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდნენ და ანგარიში 6:1 სავსებით შეესაბამება ძალთა შეფარდებას მინდორზე.

პირველი ბურთი, რომელიც ცარიოვმა გაიტანა უკვე მეორე წუთზე, თითქოს შემთხვევითი იყო: თბილისელებმა კუთხური საჯარიმოდან მოწოდებული ბურთი იქვე ახლოს მოიგერიეს და სტუმრების ნახევარმცველმა შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა დაბალ კუთხეში — 1:0. ეს გოლი შეიძლება მთლიანად მეკარე ს. კოტრიკაძის უხეშ შეცდომასაც მიეწეროს. მაგრამ თამაშის შემდგომმა მსვლელობამ ცხადად დაგვანახა, რომ შემთხვევითობას ადგილი არა ჰქონია.

სსრ კავშირის ჩემპიონი გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ამ მატჩისათვის, ვიდრე თბილისის „დინამო“. მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება, ტექნიკური ელემენტების შესრულება, რწმენა საკუთარ ძალებში, საერთო ურთიერთმოქმედება, ტაქტიკური სქემა — ყველაფერ ამაში ცხადად იგრძნობოდა მოსკოველთა უპირატესობა.

აშკარა იყო მოსკოველთა უპირატესობა აგრეთვე სისწრაფეშიც. ყველა ხაზში, ყოველ სიტუაციაში ჩემპიონები მოქმედებდნენ უფრო სწრაფად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე და ყოველთვის მოწინააღმდეგეზე წინ იყვნენ საგრძნობი მანძილით. თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელები ბურთის დაკარგვის შემდეგ აღარ მოსდევდნენ მცველებს და ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მონაწილეობდნენ შეტევის ოპერაციებში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 6 ბურთიდან 2 დაცვის მოთამაშეებმა გაიტანეს.

თბილისელთა თავდასხმა თამაშობდა სუსტად, უგეგმოდ. ფორვარდები განლაგებული იყვნენ ერთ ხაზზე, ზედმეტად და ყოველგვარი სარგებლის გარეშე ატარებდნენ ბურთს. შეტევას არ ჰქონდა საჭირო სიღრმე, კომბინაციები (მათი რაოდენობა ერთობ მცირე იყო) ხორციელდებოდა მცირე ტერიტორიაზე და, გარდა ამისა, თუ ბურთის გათამაშებაში მონაწილეობდა ორი მოთამაშე, მესამე პარტნიორი არც ერთხელ არ ცდილა დახმარებოდა მათ, გასულიყო თავისუფალ ადგილზე, მოეხდინა ხელსაყრელი გადაჯგუფება მეტოქის დაცვაში. მასპინძელთა თამაშში სრულიად არ იგრძნობოდა შეტევის დამამთავრებელი ფაზა. ეს ფუნქცია თითქოს მელაშვილს უნდა შეესრულებინა, მაგრამ იგი ვერ ლიდერობდა თავდასხმას, ხშირად იხევდა უკან. შეიძლება, მას სურდა ცენტრალური დაცვის ზონიდან გამოეტყუებინა კრიჟევსკი, მაგრამ ეს გამოცდილი მოთამაშე არ წამოეგო ამ ანკეს და თუ გადიოდა წინ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი ადგილი საიმედოდ იყო დაცული რომელიმე სხვა მცველის მიერ. ამიტომ იყო, რომ მელაშვილი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა მოსკოველთა კარისათვის.

სულ სხვაგვარად თამაშობდა კრიჟევსკის თბილისელი კოლეგა — ძიაპშიპა, რომელმაც ვერც ზონაში, ვერც პირისპირ ბრძოლაში ვერ შეძლო მამედოვის ნეიტრალიზება. იგი სისტემატურად აგვიანებდა ბურთზე გასვლას და მამედოვი, როგორც წესი, ყოველთვის აწწრებდა ბურთის მიწოდებას ღიად დარჩენილ ზონაში, სადაც დაუყოვნებლივ გადიოდნენ ურინი და შაპოვალოვი.

უაღრესად დაბალ დონეზე ჩაატარეს მატჩი მასპინძელთა ნახევარმცველებმა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე სუსტი ხაზი თბილისის „დინამოში“. მინდვრის შუაგული, რომელიც მათი კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო, მთლიანად მოსკოველთა საკუთრებას წარმოადგენდა და ისინიც ეფექტურად იყენებდნენ ამ დიდი მნიშვნელობის სტრატეგიულ პოზიციას. ხუნდაძე და ლოლობერიძე მთლიანად მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ თავდასხმას და დაცვაშიც ვერ ასრულებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს.

სუსტად ითამაშეს მეკარეებმა ს. კოტრიკაძემ და ვ. მარღანიამ, რომ მათი შეცდომები არა, ანგარიში შეიძლება ნაკლები ყოფილიყო.

რაც შეეხება მოსკოვის „დინამოს“, ჩემპიონი პირველი მატჩის მიხედვით ქების ღირსია. გამარჯვება ანგარიშით 6:1 დინამოელთა საფუძვლიანი განაცხადია მომდინარე წლის ჩემპიონობაზეც.

მოსკოველების თამაშში აღნიშვნის ღირსია ის, რომ თავდამსხმელები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი, თუნდაც სულ მცირე შესაძლებლობა. ამ მხრივ საინტერესოა მათ მიერ გატანილი მეორე გოლი. მამედოვმა წამით მიიღო თავისუფალ მდგომარეობაში ბურთი კარიდან 23 მეტრის დაცილებით. მან სწრაფად შეაფასა სიტუაცია და მაშინვე დაარტყა კარში. გოლი გატანილ იქნა.

ბურთების დიდი უმრავლესობა გატანილ იქნა მეორე ტაიმში. უკვე ათიოდე წუთის შემდეგ შაბროვმა და ურინმა ანგარიში ოთხამდე აიყვანეს, ხოლო მე-20 წუთზე კესარევმა მეხუთედ აიძულა თბილისელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ერთადერთი საპასუხო ბურთი გატანილ იქნა იამანიძის მიერ საშუალო მანძილიდან, რასაც მოჰყვა მოსკოველთა ხანგრძლივი იერიში და შაპოვალოვის მიერ თავით გატანილი გოლი — 6:1.



თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 23 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 6:1 (2:1).

მოსკოვი: იაშინი; კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი; ცარიოვი, სოკოლოვი; შაბროვი, ურინი, მამედოვი, შაპოვალოვი, რიუკინი.

თბილისი: ს. კოტრიკაძე (მარღანია); ა. კოტრიკაძე, ძიაპშიპა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ლოლობერიძე; ჭკუასელი, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი (დალაქიანი).

მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი).



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მარტისათვის

ძირითადი შემადგენლობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	1	1	0	0	6:1	2
„დინამო“ კ.	1	1	0	0	5:1	2
„ლოკ“. მ.	1	1	0	0	3:0	2
„სპარტაკი“ მ.	1	0	1	0	1:1	1
„მოლდოვა“ კიშ.	1	0	1	0	1:1	1
„ტორპედო“ მ.	1	0	1	0	0:0	1
„ზენიტი“ ლ.	1	0	1	0	0:0	1
ცსკ მო მ.	0	0	0	0	0:0	0
„კრ. სოვეტოვი“ კბ.	0	0	0	0	0:0	0
„შახტიორი“ სტ.	1	0	0	1	0:3	0
„ადმირალტეეცი“ ლ.	1	0	0	1	1:5	0
„დინამო“ თბ.	1	0	0	1	1:6	0

* * *

პირობითი აღნიშვნები: მ. — მოსკოვი, კ. — კიევი, კიშ. — კიშინიოვი, ლ. — ლენინგრადი, კბ. — კუიბიშევი, სტ. — სტალინო, თბ. — თბილისი.

თ. — თამაშები, მ. — მოგება, ფ. — ფრე, წ. — წაგება, ბ. — ბურთები, ქ. — ქულები.

* * *

◎ **ოდესა. 23 მარტი.** აქ შედგა მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

◎ **კიშინოვი. 23 მარტი.** ადგილობრივი „მოლდოვა“ შეხვდა მოსკოვის „სპარტაკს“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

◎ **კიევი. 23 მარტი.** სეზონის გახსნის დღეს ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და ლენინგრადის „ადმირალტეეცი“.

ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს კიეველებმა.

◎ **ბაქო. 23 მარტი.** რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და სტალინოს „შახტიორს“ შორის.

„ლოკომოტივმა“ მოიგო შეხვედრა ანგარიშით 3:0.

რვა გუნდით

სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლაში ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

პირველი ადგილი და სკოლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა XI მეორე კლასის გუნდმა.

ი. ოდიშელიძე.

ღიდერობენ პრიზიორები

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის 250 სპორტსმენი მონაწილეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაშია ფრენბურთი, მძლეოსნობა, სროლა, ჭადრაკი, შაში და მაგიდის ჩოგბურთი. გამარჯვებისათვის იბრძვის ყველა საამქროს კოლექტივი. ჯერჯერობით წინ არიან გასული წლის სპარტაკიადაში გამარჯვებულნი ელექტრომანქანების. მექანიკურ-შემკეთებელი და ელექტროშემკეთებელ საამქროთა გუნდები.

გ. ფამილიანტი

გუნდური პირველი ადგილი

„ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, რომელიც გასულ კვირას დამთავრდა, უმჩატესი წონის მოჭიდავეთაგან წარმატება წილად ხვდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელს შეყრილაძეს, რომელმაც სუფთა გამარჯვება მოიპოვა მოსკოველ კაჩანოვთან, კრასნოიარსკელ შაენოვთან, თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელ სკრიაბიშევთან, ლენინგრადელ კიშელდფელდთან, უკრაინელ ლიტვინთან და ბელორუს შკოლნიკოვთან და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

მჩატე წონაში სპორტის ოსტატმა ზამიატინმა (ლენინგრადი) სამი საჯარიმო ქულით პირველი ადგილი გაიანდა. მეორე ადგილი წილად ხვდა აზერბაიჯანელ სპორტის ოსტატს მამედბეკოვს, რომელმაც პირველ ადგილზე გამოსულ ზამიატინთან ძნელ ბრძოლაში ფრეს მიაღწია. მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა წიკლაური (ჩრდილოეთ ოსეთი). ქვემსუბუქ წონაში თავი ისახელა სპორტის ოსტატმა ბაიდოსოვმა (ყაზახეთი). მსუბუქ წონაში პირველობისათვის ებრძოდა 20 მოჭიდავე. პირველ ადგილზე გამოსულმა ლენინგრადელმა სერგეევმა ექვსი შეხვედრიდან ხუთი ქულებით, ხოლო ერთი სუფთად მოიგო და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ქვესაშუალო წონის მოჭიდავეებში ფინალამდე ოთხი საჯარიმო ქულა ქონდა სპორტის ოსტატ ჯ. დავლიანიძეს (საქართველო), ხოლო უკრაინის გუნდის წარმომადგენელს სპორტის ოსტატ ნებიერიძეს კი 6 სუფთა მოგება. ამ ორი ოსტატის შეხვედრის პირველ 6 წუთში მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა დავლიანიძემ და ქულებით გაიმარჯვა. მეორე ადგილი წილად ხვდა ნებიერიძეს, მესამე — ა. ხითარიშვილს (საქართველო).

თავისებურად წარიმართა ჩემპიონის ბედი საშუალო წონაში. აქ სპორტის ოსტატ გობეჯიშვილს (საქართველო) 5 სუფთა მოგება და 1 სუფთა დამარცხება ჰქონდა (ბულაცევთან — ჩრდილოეთ ოსეთი). ამ უკანასკნელმა სუფთა დამარცხება განიცადა აზერბაიჯანელ მუსტაფაევთან. მუსტაფაევს კი სუფთა წაგება ჰქონდა გობეჯიშვილთან. ამრიგად, სამივეს დაუგროვდათ საჯარიმო ქულების თანაბარი რაოდენობა. ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა ჩატარებული შეხვედრების შედეგებმა, სადაც ყველაზე მეტი სუფთა მოგება აღმოჩნდა გობეჯიშვილს. მეორე ადგილი დაისაკუთრა ბულაცევმა, მესამე — მუსტაფაევმა.

ქვემძიმე წონაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ სპორტის ოსტატი მარზაგანოვი (ჩრდილოეთ ოსეთი) და ბურდული (საქართველო). პირველი ადგილი 4 საჯარიმო ქულით დაისაკუთრა მარზაგანოვმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბურდული.

მძიმე წონაში ფინალამდე წაუგებლად მივიდნენ ლენინგრადელი ივანიცკი და საქართველოს გუნდის წევრი სპორტის ოსტატი სინაურიძე. ფინალურ შეხვედრაში უფრო მძიმე წონის და დიდი ფიზიკური ძალის ივანიცკემ სძლია სინაურიძეს და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ოთხდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ გუნდური პირველი ადგილი და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი დაიმსახურა საქართველოს გუნდმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ჩრდილოეთ ოსეთის, მესამე — ლენინგრადის გუნდს.

მოზარდთა პირველობაში მონაწილეობდა ხუთი გუნდის 49 სპორტსმენი, გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველო, მეორეზე — ბელორუსია, მესამეზე — ჩრდილოეთ ოსეთი.

ა. ბარნოვი



ფილმს ქმნიან მოყვარულები

რეფლექტორების მძლავრი შუქით განათებულ ხალიჩაზე ორი „მსახიობი“ ელოდა ოპერატორის განკარგულებას. ყველაფერი მზად იყო მორიგი კადრის გადასაღებად, თუმცა არც როლების შემსრულებლები იყვნენ ცნობილი მსახიობები და არც დამდგმელ-რეჟისორებს ჰქონდათ საკმაო გამოცდილება, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტის კინომოყვარულთა დაუღალავმა შრომამ სათანადო შედეგი გამოიღო. თანდათან ხორცს ისხამს ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის მასწავლებლის ა. ციბაძისა და მ. თარხანოვის სცენარი მოკლემეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევისათვის „ქართველი მოჭიდავეები“. ფილმის ოპერატორებია ო. ცქვიტინიძე, დ. კასრაძე და ვ. კალანდაძე.

სცენარის ავტორებსა და დამდგმელ-რეჟისორებს მიზნად დაუსახავთ თავიანთი ნახელავით მაყურებელს მოუთხრონ ჭიდაობის არა მარტო ჩასახვასა და განვითარებაზე, არამედ (საკავშირო კინოქრონიკიდან მიღებული მასალების გამოყენებით) აჩვენონ, აგრეთვე რესპუბლიკის ცნობილი მოჭიდავეების გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე.

აი სცენარის მოკლე შინაარსიც. ფიზკულტურის ინსტიტუტში ტარდება ლექცია ფიზკულტურის ისტორიაში. ლექტორის ნალაპარაკევი ეთაცხლდება ეკრანზე და მაყურებელი ხედავს კადრებს ქართული ჭიდაობის წარსულიდან. მაყურებელი პორტრეტების საშუალებით ეცნობა XIX და XX საუკუნის დასაწყისს გამოჩენილ ქართველ ფალავნებს...

კადრი გადადის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში. მიმდინარეობს მეცადინეობა ჭიდაობაში. ახალგაზრდები ეუფლებიან თავისუფალი ჭიდაობის ხერხებს, სადაც ასე საგრძნობლადაა გამოყენებული ქართული ჭიდაობის ფანდები. შესვენების დროს მწვრთნელი აღსაზრდელებს უამბობს ახლა უკვე თანამედროვე ფალავნების შესახებ და აი კადრებში ერთიმეორის თანმიმდევრობით გამოჩნდებიან (ცენტრალური კინოქრონიკის მასალების მიხედვით) ქართველი ფალავნების, მსოფლიოში განთქმული მოჭიდავეების არსენ მეკოკიშვილის, გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, მირიან ცალქალამანიძის, ვოგი სხირტლაძისა და სხვათა გამოსვლები ჰელსინკის, ტოკიოს, მელბურნის, რომისა და სტოკჰოლმის სარბიელებზე.

გზადაგზა მაყურებელი გაეცნობა მათი წვრთნის პროცესებსაც.

მცირე ენერგიის [illegible] დაჭირდათ [illegible] ხორცი შეესხა [illegible] Საკმაო რაოდენობით დაიბარჯა ფირი, არაერთი და ორი კადრი გაფუჭდა, რამდენჯერმე გახდა საჭირო ერთხელ გადაღებული კადრების განმეორება, მაგრამ იმდენად დიდი იყო მიზნის მიღწევის სურვილი, რომ ახალგაზრდა შემოქმედთ არავითარი სიძნელის წინაშე არ დაუხევია.

ფილმის გადაღება დასასრულს უახლოვდება... ამჟამად კოლექტივი ემზადება არსენ მეკოკიშვილის მშობლიურ სოფელში კადრების გადასაღებად, რომლებშიც მოთხრობილი იქნება — როგორ დაიწყო ჭიდაობა მეკოკიშვილმა, როცა იგი ჯერ კიდევ მწყემსი ბიჭუნა იყო.

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტის დირექცია და საქართველოს კინოსტუდია დიდ დახმარებას უწევენ პატარა შემოქმედებითს კოლექტივს. მიუხედავად ამისა, კინომოყვარულები მაინც საკმაო სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით უჭირდათ კინოფირების შოვნა.

— არა უშავს, — გვითხრა ა. ციბაძემ, — ამედი გვაქვს კინოსტუდია „ქართული ფილმი“ კიდევ ერთხელ გამოგვიწვდის დახმარების ხელს, დაგვითმობს საჭირო რაოდენობის ფირს და ფიზკულტურელთა საკავშირო დღისათვის დავამთავრებთ ფილმს.

ო. გელაშვილი

* * *

სურათზე: ფილმის გადაღების მომენტი. სურათის შუაში — ა. ციბაძე მითითებას აძლევს ოპერატორს გადაღების დაწყების წინ.

ბაკურიანში. ნახატი ხუმრობა გ. იაშვილისა.

ექვსივე ცდა 18 მეტრზე შორს

ამას წინათ მაინის ფრანკფურტში შედგა მძლეოსანთა შეჯიბრება დახურულ შენობაში, სადაც გერმანელ სპორტსმენებთან ერთად გამოდიოდნენ სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

წარმატება ხვდა წილად მსოფლიოს რეკორდსმენს ბირთვის კვრაში ამერიკელ პერი ობრაიენს, რომელმაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 18 მეტრი 81 სანტიმეტრი (დახურული შენობის ძველი მსოფლიო რეკორდიც მას ეკუთვნოდა). აღსანიშნავია, რომ ობრაიენის ექვსივე ცდა 18 მეტრიან ზღვარს აღემატებოდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ობრაიენმა მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთ შეჯიბრებაში, სადაც აგრეთვე მაღალი შედეგი აჩვენა — 18 მ. 73 სმ. ამ შეჯიბრებაში ჭოკით ხტომა მოიგეს ბრეგმა და შვარცმა ერთნაირი შედეგებით — 4 მ. 49 სმ.

ყველაზე ხანდაზმული მოკრივე

რობერტ ფიტციმონსი მსოფლიოს მესამე აბსოლუტური ჩემპიონი იყო კრივში. მან თავისი სპორტული კარიერა დაიწყო საშუალო წონაში და მიაღწია მძიმე წონამდე. ფიტციმონსმა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა 35 წლის ასაკში (1897 წელს), როდესაც მეთოთხმეტე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ბრძოლა ჯეიმს კორბეტს და წაართვა მას ჩემპიონის გვირგვინი.

40 წლის ასაკში ფიტციმონსმა მეცხრე რაუნდში დაკარგა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. მას ბრძოლაში მოუგო ჯეიმს ჯეფერისმა. სხვათა შორის, ეს შეხვედრა თავის დროზე გადაღებულ იქნა კინოფირზე და იგი დღესაც ინახება არქივში. ამის შემდეგ ფიტციმონსი დარწმუნდა, რომ მას მძიმე წონაში საქმე არა აქვს და გადავიდა ქვემძიმე წონაში.

50 წლის ხანდაზმულმა მოკრივემ ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა სიდნეიში ბილ იარგის წინააღმდეგ და მხოლოდ უმნიშვნელოდ წააგო ბრძოლა მე-12 რაუნდში. ორი წლის შემდეგ მან ექვსრაუნდიანი მატჩი ფრედ დაამთავრა სვენსთან. ეს იყო ფიტციმონსის უკანასკნელი გამოსვლა კრივში.

უნდა აღინიშნოს, რომ რობერტ ფიტციმონსი მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული მოკრივე იყო.

მსოფლიო ჩემპიონაჟის წინ

ინგლისის ფეხბურთელთა ერთეულმა ნაკრებმა დაიწყო მსოფლიო პირველობისათვის მზადება. კვირეულ გაიმართა შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომლის შემდეგ საბოლოოდ დადგინდება შვეიცარიაში წამსვლელთა კანდიდატურები.

როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ვალტერ უინტერბოტომმა განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ინგლისელები ჩაატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს იუგოსლავიასთან, საბჭოთა კავშირთან, ესპანეთთან და არგენტინასთან.

სპორტული ქრონიკა

ცაგერში დამთავრდა რაიონის პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა ათი მოკადრაკე. I ადგილი დაიკავა ჯ. სიხარულიძემ (ლაჯანურჭესის მშენებლობა), რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა. II ადგილი (7 ქულით) წილად ხვდა სოფ. ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლეს რ. მინდაძეს.

გ. კოპალიანი

* * *

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ჩაატარეს პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 16 კაცი, ჩემპიონის სახელი მოიპოვა ა. კანჯარიძემ, რომელმაც ყველა პარტია მოიგო.

რ. გურგენიძე

* * *

აბაშელმა მოჭადრაკეებმა მოაწყეს რაიონის პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ „კოლმეურნეს“, „განთიადის“ და სასკოლო ნაკრები გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მოიპოვეს „კოლმეურნეს“ წარმომადგენლებმა. პირად ჩათვლებში ქალთა შორის უძლიერესი იყო ე. ჩიტეიშვილი, ხოლო ვაჟთა შორის—დ. კაჭარავა.

გ. გვაზავა

* * *

თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში დამთავრდა შიდასაკოლექტივო პირველობა ჭადრაკში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 მასწავლებელი. ტურნირში 9,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა სკოლის დირექტორმა ა. მათითაშვილმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. დათაშვილი, რომელიც ჩემპიონს ერთი ქულით ჩამორჩა, 8 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ი. ვაშაკიძემ.

ვ. გოგოძე

ᲡᲙᲕᲝ ᲕᲔᲚᲘ-ᲣᲓᲘᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კორტინა დამპეცოს 1956 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ დაისვა საკითხი, თუ სად უნდა ჩატარებულიყო მორიგი თამაშები. არჩევანი შეჩერდა სკვო ველზე, რომელიც კალიფორნიაშია. იგი ზღვის დონიდან 1850 მეტრზე მდებარე 800 მეტრის სიგანისა და 3000 მეტრის სიგრძის თოვლუსვ ველს წარმოადგენს. სკვო ველი 760 კილომეტრითაა დაშორებული ლოს-ანჟელოსიდან, ხოლო 5180 კილომეტრით ნიუ-იორკიდან. საინტერესოა, რომ სკვო ველზე პირველი სათხილამურო ბილიკი გაავლო ნორვეგიელმა ტომპსონმა. ეს იყო მე-19 საუკუნეში, როცა ნორვეგიელს კორესპონდენციები გადაჰქონდა კალიფორნიიდან კანზასიტსა და ნევადაში.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა არჩევნი სკვო ველზე იმიტომ შეაჩერეს, რომ იგი შესანიშნავი ბუნებრივი პირობების მქონე საასპარეზოს წარმოადგენს, თოვლის სისქე 2 მეტრზე მეტს აღწევს და თებერვლის თვეში აქ ნორმალური ტემპერატურაა. ამას ისიც ემატება, რომ სკვო ველი წარმოადგენს უზარმაზარ ბუნებრივ ამფითეატრს, სადაც ზამთრის სპორტის ყველა სახეობის ჩატარებაა შესაძლებელი.

ეს საინტერესო ღონისძიება განზრახულია მოეწყოს 12-22 თებერვალს. მაგრამ ოლიმპიადის ჩატარების ზუსტი ვადები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი. ის კი ცხადია, რომ შეჯიბრებები მოეწყობა თებერვლის შუა რიცხვებში.

ამჟამად აქ დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს. შენდება ოლიმპიური სტადიონი, რომელიც 11 ათასზე მეტ მაყურებელს დაიტევს. აქვე მოეწყობა ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, პირველობები ჰოკეისა და ციგურებით ფიგურულ სრიალში. სტადიონი გადახურული იქნება სამი მხრით, ხოლო სამხრეთის ტრიბუნის მხრიდან (იგი მოძრავი ტრიბუნა იქნება) მაყურებელს შეეძლება კარგად დაინახოს შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, სწრაფდაშვებაში. სტადიონის ტრიბუნებზე 500 ადგილი დაეთმობა სხვადასხვა ქვეყნის კორესპონდენტებს, რადიოსა და ტელეხედვის წარმომადგენლებს.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად, სკვო ველზე ყველა მონაწილე მოთავსებული იქნება ერთ სოფელში. აქ შენობათა კომპლექსის 7 კორპუსი 300 ოთახისაგან შედგება. სოფელთან ახლოს მოეწყობა მოედნები წვრთნისათვის. აქვე იქნება საავადმყოფო, მაღაზიები, საასადილოები და კულტურული დაწესებულებები.

მიმდინარე წლის ზაფხულში სკვო ველზე აშენდება 45, 60 და 80 მეტრიანი ტრამპლინები, რომელთა პროექტის ავტორია ტრამპლინიდან ხტომის კომისიის წევრი ჰეინი კლოპერი (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა). კლოპერის პროექტი უკვე დამტკიცებულია და იგი აიგება ოლიმპიური სტადიონის სამხრეთით მდებარე ლიტლ-პაპოოს პიკზე.

იქ, სადაც შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს, ამჟამად უკვე ყველაფერი მზადაა მშენებლობისათვის. ყველა არქიტექტურული გეგმა უკვე დამტკიცებულია, რაც სახელმწიფოს 600 ათასი დოლარი დაუჯდა.

მომდინარე წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს მისცა წინადადება იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ გამოჰყოს თანხა ოლიმპიური თამაშების მომზადება-ჩატარებისათვის. სახელმწიფო მდივანმა დალესმა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, სადაც იგი წინადადებას იძლევა წინააღმდეგობა არ გაეწიოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეთა ჩამოსვლას, თუნდაც ისეთი სახელმწიფოებიდან, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეგობრული დამოკიდებულება არა აქვთ.

ჟურნალი „სპორტ ილუსტრირტ“

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00695